

ana xaranauli

**fsalmunTa qarTuli Targmanis leqsika<sup>1</sup>**

ქართული ენის ისტორიული გრამატიკა ჯერ კიდევ დასაწერია და ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი – შესადგენი. ერთსაც და მეორესაც ქართული წერილობითი წყაროების დაწვრილებითი ანალიზი უნდა ედოს საფუძვლად. ზურაბ სარჯველაძის მრავლობრივი მოღვაწეობის ერთი მიმართულება სწორედ ეს იყო: წყაროების, როგორც თავისი ეპოქის ენობრივი ნიმუშების ავთენტური გამოცემა, მათი ნოუანსური და სტატისტიკური შესწავლა, ცოცხალი ენის ისტორიის შექმნა, ლექსიკის მის ბუნებრივ დისკურსში კვლევა. ზ. სარჯველაძე ძველ ქართულ სამწერლობო ენას, როგორც ცოცხალ მოვლენას, ისე უყურებდა და ახასიათებდა. ეს იყო მისი, როგორც ძველი ქართული ენის მკვლევარის საეტაპო ღვაწლი. ცოცხალი ენა ცოცხალ გარემოში არსებობს – ზ. სარჯველაძე წლების მანძილზე ნერვავდა ამ ენას უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასში. იგი ამ ქვეყნიდან მაშინ წავიდა, როდესაც მის საქმეს მისი მოწაფეებიც უნდა გაჰყოლოდნენ...

ქრისტიანობის შემოსვლამ საქართველოში მსოფლმხედველობრივ ცვლილებებთან ერთად სრულიად ახალი ცნებები, ახალი გამომხატველობითი სისტემა შემოიტანა ენაში და უბიძგა მას ნეოლოგიზმებისკენ, დერივაციული სისტემის განვითარებისაკენ, ახალი სინტაქსური კონსტრუქციების შექმნისკენ<sup>2</sup>. ქრისტიანობა საქართველოში შემოვიდა ბერძნული ენით, მისი ენობრივი თავისებურებებით და სიმდიდრით, მაგრამ იმ ბერძნულით, რომელიც უკვე თავად იყო გაჯერებული ებრაული სააზროვნო სისტემით და მისი შესაბამისი გამომხატველობითი საშუალებებით. დღეს ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენი და რამდენნაირი ამოცანის წინაშე იდგნენ წმიდა წერილის ქართველი პირველმთარგმნელები, როგორ ხდებოდა ქართული ენის ემანსიპაცია და ადაპტირება ახალ სააზროვნო სისტემასთან<sup>3</sup>. ქართული სამწერლობო ენისა და მისი ისტორიის კვლევა სწორედ იმ ენობრივი ვითარების აღდგენას უკავშირდება, რომელიც ამ პირველმთარგმნელებს დახვდათ. ამისათვის კი, პირველ რიგში, ის წიგნები უნდა იქნეს

<sup>1</sup> მოცემული სტატია ნაწილობრივ ეყრდნობა ჩემს სტატიაში: *Einführung in die georgische Psalterübersetzung* მოცემულ მასალას.

<sup>2</sup> იხ. კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან.

<sup>3</sup> იხ. N. Dobordžinidze, *Das Problem der Bibelübersetzung und seine Bedeutung fuer die Entwicklung der georgischen Sprache im christlichen Mittelalter.*

შესწავლილი, რომლებიც, სავარაუდოდ, ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ითარგმნა ქართულად. ერთ-ერთი პირველი ამათგან *ფსალმური* უნდა ყოფილიყო.

ახალი რელიგიური აზროვნება, პირველ რიგში, ლექსიკურ ფონდს უნდა დასტყობოდა. ამდენად, წმიდა წერილის თარგმანების კვლევა ენის ლექსიკოგრაფიული კუთხით შესწავლისათვის განსაკუთრებით არის საჭირო და გასათვალისწინებელი. საჭიროა, პირველ რიგში, ენის ისტორიის შესასწავლად: იმ ქართულის „აღსადგენად“, რომელიც ჯერ არ იყო შეხვედრილი ამა თუ იმ სათარგმნი თხზულებით შემოსულ ცნებით სისტემასთან და, მეორეს მხრივ, იმ ქართულის შესასწავლად, რომელიც ამ სისტემას უკვე გაეცნო და მის ასათვისებლად სხვადასხვა ენობრივი საშუალება გამოიძევა. ასე რომ, თარგმანების ლექსიკოგრაფიული კუთხით შესწავლა მნიშვნელოვანია თავად წმიდა წერილის ენის შესასწავლადაც და მის საფუძველზე წარმოქმნილი ლიტერატურის ენის საკვლევადაც<sup>4</sup>.

ლექსიკური მნიშვნელობების დადგენა თარგმანის მიხედვით, ერთი მხრივ, უფრო ობიექტურია, ვიდრე ამ მნიშვნელობების დადგენა ორიგინალური მწერლობის საფუძველზე, რაც, ჩვეულებრივ, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ესმის ლექსიკოგრაფს კონტექსტი. თარგმანში მოცემული ლექსიკური ეკვივალენტების მნიშვნელობათა დადგენა ორიგინალის დახმარებით ხდება: ჩვენ იმ მნიშვნელობას ვანიჭებთ თარგმანში გამოყენებულ ეკვივალენტს, რაც აქვს მის შესატყვისს ორიგინალში (ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მნიშვნელობა დიდი და კარგად შესწავლილი მასალის საფუძველზეა დადგენილი). ეს მეთოდი განსაკუთრებით სარწმუნოა ისეთი სიტყვასიტყვითი თარგმანების შემთხვევაში, როგორც წმიდა წერილია. ასე რომ, ორიგინალის ლექსიკონი ერთგვარი საკონტროლო საშუალებაა თარგმანში გამოყენებული ლექსიკის მნიშვნელობების დასადგენად. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თარგმანში გამოყენებულ, ენაში არსებულ სიტყვას შესაძლოა თარგმნის მომენტში არც ჰქონოდა ზუსტად ის მნიშვნელობა, რომელიც მის ორიგინალს აქვს და ეს მნიშვნელობა მან მხოლოდ მერე, სწორედ თარგმანის ზეგავლენით მიიღო. შესაბამისად, სიტყვაში უნდა გავარჩიოთ მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა სიტყვას თარგმანის ენაში და – მნიშვნელობა, რომელიც მას მიანიჭა მთარგმნელმა სათარგმნი ტექსტის ზეგავლენით. მაგრამ არც ამოსავალ სიტყვასთან მიმართებით შეგვიძლია ცალმხრივი საუბარი: სხვაა მნიშვნელობა, რომელიც აქვს სიტყვას ტექსტის ავტორისთვის (თუ მთარგმნელისათვის – წმ. წერილის ბერძნული თარგმანის შემთხვევაში) და სხვა – მნიშვნელობა, რომელიც მან მოგვიანებით, ტექსტის ინტერპრეტაციის თუ ეგზეგეზის

---

<sup>4</sup> ძველი აღთქმის ლექსიკის მრავალმხრივი ანალიზი მოცემულია ეზეკიელის წიგნის გამოცემისთვის დართულ თ. ცქიტიშვილის გამოკვლევაში, იხ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, 291 და შმდ.

საფუძველზე შეიძინა<sup>5</sup>. ამდენად, ამა თუ იმ ტექსტის ლექსიკოგრაფის საქმეა გაითვალისწინოს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ყველა ეს დონე.

ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელი (განსაკუთრებით წმიდა წერილის შემთხვევაში) ამა თუ იმ მოლაპარაკე ენობრივი ჯგუფის დისკურსია<sup>6</sup>. ამდენად, და, განსაკუთრებით, წმინდა წერილის ლექსიკის შესწავლისას გაითვალისწინებული უნდა იყოს სოციოლინგვისტური ფაქტორებიც, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ლექსიკური ერთეულის ზემოთ ნახსენებ სემანტიკურ დონეზე (ორიგინალის, მთარგმნელის, მისი თანადროული თუ მომდევნო ხანის, ბილინგვური თუ მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე მკითხველის დონეზე).

როდესაც ქართველ პირველმთარგმნელთა წინაშე მდგარ სირთულეებზე ვლაპარაკობდით, და, აქედან გამომდინარე მათ ღვაწლზე ქართული ენის ლექსიკური ფონდის სემანტიკურ თუ ფორმალურ გამდიდრებაში, ვგულისხმობდით, მაგ. შემდეგ ვითარებას: სხვადასხვა ენას სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფისათვის სიტყვათა სხვადასხვა რაოდენობა აქვს. შესაბამისად, ენას შეუძლია ცნება ან დიფერენცირებულად გამოხატოს, ან ზოგადად. აქედან გამომდინარე, ორიგინალისა და მთარგმნლის შესატყვისობის ამა თუ იმ დონეზე მისაღწევად მთარგმნელი სხვადასხვა გადაწყვეტილების წინაშე დგას. გარდა ამისა, ლექსიკურ ეკვივალენტებს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სემანტიკური ველი აქვთ, ამდენად მათი ეკვივალენტურობა, ფაქტიურად, კონტექსტზეა დამოკიდებული<sup>7</sup>. იმის მიხედვით, თუ სიტყვასიტყვითობის რა ხარისხის მიღწევა უნდა მთარგმნელს, ხდება ენაში არსებული ვითარების – სიტყვის სემანტიკის – ცვლა. ამდენად, ძველი ქართული ენის ლექსიკური ფონდის შესწავლა წმიდა წერილის მთარგმნლის ტექნიკის შესწავლასთანაა დაკავშირებული. სტატიამ იჩვენა ამ კუთხით წარმოვადგენთ *ფსალმუნთა* წიგნის ლექსიკის სურათს.

უცხო სემანტიკის ტექსტის ლექსიკა, საზოგადოდ, სხვადასხვაგვარად გადმოდის მთარგმანში<sup>8</sup>:

1. ტრანსლიტერაციით: ასეთია ებრაული და ბერძნული სიტყვები, რომლებიც ან საკუთარ სახელებს გადმოსცემენ, ან ტექნიკურ ტერმინებს, ან მთარგმნელისათვის გაუგებარ სიტყვებს, უმეტესად hapax legomenon-ებს.

2. ნასესხები სიტყვებით: სიტყვებით, რომლებიც მოცემული ტექსტის მთარგმნამდგა ნასესხები და დამკვიდრებული ენაში. ეს სიტყვები შეიძლება მომდინარეობდეს, ან არ მომდინარეობდეს იმ ენიდან, საიდანაც ხდება მოცემული ტექსტის მთარგმნა.

<sup>5</sup> იხ. Tov, Three Dimensions of Words in the Septuagint, in: The Greek and Hebrew Bible 85-87.

<sup>6</sup> იხ. La Bible Greque, 251

<sup>7</sup> იხ. La Bible Greque, 245

<sup>8</sup> იხ. Tov, Loan-words, Homophony, and Transliterations in the Septuagint, in: The Greek and Hebrew Bible.

3. ჰომოფონური, მსგავსი ჟღერადობის სიტყვებით, რომლებსაც ზოგჯერ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს თარგმანისა და სათარგმნ ენაში.

4. თარგმანის ენის ლექსიკით, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება შეესაბამებოდეს დედანს: სემანტიკურად და ფორმალურად<sup>9</sup>.

პირველი, სემანტიკური შესაბამისობა იშვიათად არის სრული, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს სათარგმნი, ან თარგმანის სიტყვის სემანტიკის შევიწროებას ან გაფართოებას. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული მნიშვნელობის მინიჭება სიტყვისთვის მხოლოდ კონტექსტით ხდება. ამგვარი შესატყვისობები სემანტიკური ნეოლოგიზმებიც შეიძლება იყოს. სემანტიკურ ნეოლოგიზმებს ხშირად ადგილი აქვს უცხო იდიომების სიტყვასიტყვით გადმოტანისას, ანდა მაშინ, როდესაც მთარგმნელი მყარად იცავს ლექსიკური ეკვივალენტურობის პრინციპს და ერთხელ მოძებნილ ეკვივალენტს უჩვეულო თუ შეუფერებელ კონტექსტშიც ხმარობს.

მეორე შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სათარგმნი სიტყვის სემანტიკური კალკი და მის ყალიბზე შედგენილი თუ ნაწარმოები სიტყვები. ამ შემთხვევაში სრული სემანტიკური შესაბამისობის არსებობა უფრო მოსალოდნელია, რადგანაც საქმე, როგორც წესი, გვაქვს 1. ნეოლოგიზმებთან სათარგმნ ტექსტში, რომელსაც ის მნიშვნელობა უძკვიდრდება შემდგომში, რომელსაც მას მთარგმნელი ან მკითხველ-ინტერპრეტატორი აძლევს და 2. თარგმანში არსებულ ფორმალურ ნეოლოგიზმებთან, როდესაც მთარგმნელი ცდილობს ენაში არსებული ძირის აფიქსაციის გზით აწარმოოს ახალი სიტყვა. ამგვარი ნეოლოგიზმები ხან ძალიან გამჭვირვალეა და, ამდენად, გასაგებია კონტექსტის გარეშეც, ხან კი, იმდენად უცვლის ძირს მნიშვნელობას, რომ ახალი სიტყვის შინაარსი კონკრეტულ კონტექსტზეა მიბმული.

*ფსალმუნთა* ქართულ თარგმანებში **ტრანსლიტერაციით** მხოლოდ საკუთარი სახელებია გადმოტანილი: ტოპონიმები (მაგ. სიონი, ბაბილონი) და ანთროპონიმები (მაგ. დავითი, ასაფი) და თავად *ფსალმუნი* და მისგან ნაწარმოები სიტყვები. და ამით სრულიად ცხადია მთარგმნელის ტენდენცია – ქართული ენის რესურსებით შეძლოს ტექსტის გადმოტანა. რაც შეეხება **ჰომოფონიას**, ეს მოვლენა ქართულ თარგმანებში გამოვლენილი და შესწავლილი არ არის. ერთი შეხედვით, *ფსალმუნთა* თარგმანს იგი არ ახასიათებს, თუმცა, მაგ., ἀλαλαγμός – *ღალღება*, χάρειν – *ხარება*, ἀγαλῶν – *გალობა* შესატყვისობები ალბათ ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე შესასწავლია **ნასესხობების** და, განსაკუთრებით, სომხური ნასესხობების და მათი ქრონოლოგიზაციის საკითხი *ფსალმუნის* ქართულ თარგმანებში, რადგანაც იგი თარგმანის წარმომავლობის კვლევასთან არის ხოლმე დაკავშირებული.

მაგრამ, სანამ *ფსალმუნთა* თარგმანის ლექსიკა ასე დიფერენცირებულად იქნება შესწავლილი, მე შევეცდები მის ზოგად დახასიათებას თარგმანის ტექნიკიდან ამოსვლით. რადგანაც თარგმანის ტექნიკა – მთარგმნელის

<sup>9</sup> იხ. კ. დანელია, ლექსიკურ-სემანტიკური კალკები ბიბლიურ წიგნთა ქართულ რელაქციებში, ნარკვევები, I, 58-75

დამოკიდებულება დედნისადმი და თარგმანის ადეკვატურობის მისეული გაგება განაპირობებს ლექსიკური ეკვივალენტების სხვადასხვა საშუალებით ძიებას. პირობითად *ფსალმუნთა* თავდაპირველი თარგმანის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს შრედ იმ ტექსტს მივიჩნევ, რომელიც საერთო აქვთ გიორგი მთაწმიდელამდელი ტექსტის ერთმანეთისაგან განსხვავებულ წყაროებს – სინურ ხელნაწერებსა (Sin. 42, Sin. 22, Sin.29, Graz, Georg.2 ) და ე.წ. მცხეთურ ფსალმუნს (A 38) და ამ ტექსტს პირობითად Geo<sup>1</sup>-ით აღვნიშნავ.

*ფსალმუნთა* თარგმანის ერთ-ერთი მახასიათებელი ისაა, რომ მასში ეკვივალენტების შერჩევა ხშირ შემთხვევაში **კონტექსტიდან** ამოსვლით ხდება. ამასთან, კონტექსტი, რომელსაც მთარგმნელი ანგარიშს უწევს ან ისაა, რომელშიც უშუალოდ იხმარება სათარგმნი სიტყვა, ან – მისი პარალელური პერიოდი (იხ. ქვემოთ, 935). კონტექსტზე დაყრდნობით ეკვივალენტების შერჩევისას მთარგმნელი ან სრულ ლექსიკურ შენაცვლებას ახდენს, ან აფართოებს (*ავიწროებს*) სათარგმნი სიტყვის სემანტიკას<sup>10</sup>. ამგვარ ცვლილებას ზოგ შემთხვევაში ებრაულიდან ბერძნულში შესული გამოთქმების ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ფრაზებით შეცვლა მოჰყვება:

1<sub>3</sub> τὸν καρπὸν *ნაყოფი* Geo<sup>G11</sup>] *ხილი* Geo<sup>1</sup>: *ხე, რომელმან გამოისცეს ხილი;*

8<sub>4</sub> ἔθμελινάσας *დაფუძნე* Geo<sup>G</sup>] *დაჰბადე* (= ἔπλασας)<sup>12</sup> Geo<sup>1</sup>: *ცანი, ქმნულნი ხელთა შენთანი, მთოვარე და მსკულავები, რომელ შენ დაჰბადე;*

6<sub>3</sub> ἴασαι *განმკურნე* Geo<sup>G</sup>] *მიღხინე* Geo<sup>1</sup>: *მიწყალე მე, უფალო ..., მიღხინე მე;*

9<sub>23</sub> συλλαμβάνουσται *შეპრობილ იქმნენ* Geo<sup>G</sup>] *დაიყენენ*<sup>13</sup> (*დაეყენენ* E) Geo<sup>1</sup>: *დაიყენენ ივინი ზრახვათა მათთავან;*

9<sub>24</sub> ἐνευλογεῖται *იკურთხევენ* Geo<sup>G</sup>] *იქადინ* (= καυχᾶται) Geo<sup>14</sup>: *გულის-თქუძასა თავისა თვისისასა უღმრთოდ იქადინ;*

9<sub>35</sub> ἔγκαταλέλειπται *დაშთომილ არს* Geo<sup>G</sup>] *დაიცვე* (= φύλασσε) Geo<sup>1</sup>: *შენ დაიცვე გლახაკი და ობლისა შენ იყავ მწე;*

10<sub>5</sub> ἀδικίαν] *ცოდვაჲ* (= ἄμαρτίαν) Geo<sup>1</sup>, *სიცრუვე* (= ψεῦδος) Geo<sup>G</sup>: *ვის უყუარს ცოდვაჲ, მას ჰსძულს თავი თვისი.*

სეპტუაგინტას იმ **ნეოლოგიზმის** თარგმნაც, რომლებიც ბერძნულში ვერ დამკვიდრდა, კონტექსტიდან ამოსვლით ხდება, მაგ. 186 παστὸν] *ეზოთ* Geo.

<sup>10</sup> მაგალითები პირველი ოცი ფსალმუნიდან არის მოყვანილი. Geo<sup>G</sup>-თი აღვნიშნავ მზ. შანიძის მიერ გიორგი მთაწმიდელისეულად მიჩნეულ რეცენზიას.

<sup>11</sup> მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ გიორგი მთაწმიდელის რეცენზიის ერთ-ერთი მიმართულება ამგვარი გამოთქმების დედანთან დაახლოებაა.

<sup>12</sup> ფრჩხილებში ჩასმულია ქართული სიტყვის ჩვეული და ზუსტი ბერძნული შესატყვისობები. ზმნა ἔμελιν(ν) თარგმანში სხვადასხვაგვარად გადმოიტანება: *დაფუძნება* (232 479 865); *განმტკიცება* (118152); *დამტკიცება* (776,9 1035,8 11890); *დამყარება* (8811 10126), არსებით სახელს (τὰ ἔμελιν, 178,16 815 861) კი მისი ძირითადი მნიშვნელობის მქონე მყარი ეკვივალენტი შეესაბამება: *საფუძველნი*.

<sup>13</sup> იხ. ამავე მუხლში 916 συλλαμβήθη] *შეიყარ(ნ) ფერჳი მათი* Geo.

<sup>14</sup> სხვა შემთხვევებში ორივე ბერძნული სიტყვის ეკვივალენტი მყარია.

παυστέδ ამ შემთხვევაში საქორწინო სარეცელს, ან ახალდაქორწინებულთა ოთახს უნდა ნიშნავდეს<sup>15</sup>. თარგმანის ეკვივალენტი გაცილებით უფრო ფართო სემანტიკისაა, ვიდრე სათარგმნი სიტყვა, მისი დაკონკრეტება კონტექსტში ხდება (*კითარცა სიძე რაჲ გამოვალნ ეზოათ თჳსით*).

მთარგმნელის ტენდენცია, რომ ლექსიკური ეკვივალენტები კონტექსტიდან ამოსვლით შეარჩიოს, და, შესაბამისად, ეს ეკვივალენტები ცვალოს, არ გამორიცხავს საპირისპირო ტენდენციასაც, რაც გარკვეული ლექსიკური შესატყვისობების გამოყენების სიმყარეში გამოიხატება. განსაკუთრებით ენება ეს იმ ტერმინების შესატყვისებს, რომელიც *ფსალმუნებში* ინტენსიურად გამოიყენება<sup>16</sup>: *ἀγαλλιάσθαι* გახარება 34<sup>17</sup>, *მხიარულ ყოფა* 1, *გალობა* 9 (6 *εὐφραίνεῖν*, 3 *კონტექსტი*)<sup>18</sup>, *შუება* 6; (*εὐφραίνεῖν*), *ἀγαλλιάσθαι* სიხარული 10, *მხიარულება* 1 (*εὐφραίνεῖν*), *გალობა* 5 (1 *εὐφροσύνη*, 1 *ἀγαλλάζειν*, 1 *αἰνεῖν*, 1 *χαίρειν*, 1 *კონტექსტი*);

*εὐφραίνεῖν* ხარება 50, *შუება* 7 (*ἀγαλλιάσθαι*);

*τέρπειν* განცხრომა 2 (1 *εὐφραίνεῖν*, *ἀγαλλιάσθαι*), *შუება* (*ἀγαλλιάσθαι*), *მხიარულება* 1;

*χαίρειν* ხარება, *χᾶρις* დიდება, *მადლი*.

*სიხარული*, *მხიარულება*, *შუება*, *განცხრომა* – სულიერი სიხარულის აღმნიშვნელი ტერმინებია. ამათგან (*გა*)*ხარება* ამ ცნებას, როგორც ჩანს, ყველაზე ინტენსიურად გამოხატავს. ამ სიტყვის (*ხარება*) ძირისგან ნაწარმოები ფორმები ორი ბერძნული ლექსემის (*εὐφραίνεῖν*-ს და *ἀγαλλιάσθαι*) საკმაოდ მყარი ეკვივალენტებია. *εὐφραίνεῖν*-ს და *ἀγαλλιάσθαι* ბერძნულში, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან ინტენსივობის ხარისხით გაირჩევიან (*ἀγαλλιάσθαι* უფრო ძლიერ სიხარულს უნდა ნიშნავდეს<sup>19</sup>). როდესაც ეს ორი ბერძნული სიტყვა ერთმანეთის მეზობლობაშია, ხან ერთს ეცვლება ეკვივალენტი და ხან მეორეს და, როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის *შუება* იხმარება ერთადერთი გამონაკლისით *ἀγαλλιάσθαι*-სთვის, როდესაც კონტექსტს უფრო *გალობა* შეესაბამება (მაგ. *აბისთჳს ოხარებდეს გული ჩემი და ვალობდეს უნაჲ ჩემი*).

ამდენად, **სულიერი მდგომარეობის** აღმნიშვნელი ტერმინები *ფსალმუნთა* ქართულ თარგმანში საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი და მკაფიოდაა გარჩეული.

**ღვთისადმი მიმართვის** ფორმები კიდევ უფრო მრავალფეროვანი საშუალებებით გამოიხატება *ფსალმუნთა* წიგნში და ქართული ენისა და მთარგმნელის შესაძლებლობებზეც კარგად მეტყველებს:

<sup>15</sup> იხ. Lust

<sup>16</sup> ქვემოთ ჩამოთვლილია ტერმინთა ეკვივალენტები *ფსალმუნთა* მთელი ტექსტიდან.

<sup>17</sup> რიცხვი მიუთითებს ეკვივალენტის გამოყენების რაოდენობას *ფსალმუნში*.

<sup>18</sup> ფრჩხილებში ვუთითებ ეკვივალენტის ცვლილების მიზეზს. ეს მიზეზი არის ან ის, რომ ბერძნული ტექსტის მოცემულ კონტექსტში გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ლექსემის სინონიმი (ფრჩხილში ვუთითებ ამ სინონიმს და მისი გამოყენების რაოდენობას) ან, რომ ეკვივალენტის შერჩევა კონტექსტით არის განპირობებული.

<sup>19</sup> იხ. Liddel & Skott

ἄδεις გალობა 13, ქება 14, კურთხევა 2 (ψάλλειν);  
αἰνεῖν ქება 44, გალობა 2 (ორივე შემთხვევაში ეკვივალენტის ცვლილება იმითაა გამოწვეული, რომ ერთმანეთისგან განირჩეს αἰνεῖτε და ἔπαινεσάτε),  
ალიარება 1;

αἰνεσις ყოველთვის ქება ან ქებულება;

ἀλαλάζειν ყოველთვის ღალღალბა, ἀλαλαγμός ღალღალბა 11, გალობა 1, კურთხევა 1, ქება 1

δέησις ლოცვა 25, ვედრება 4 (προσευχή), თხოვა 1 (προσευχή);

ἔξομολογεῖν ალიარება ἔξομολογία ალსარება;

εὐλογεῖν, εὐλογία ყოველთვის კურთხევა;

εὐχέσθαι აღთქუმა 2, εὐχή აღნათქუემი, აღთქუმა 4, ლოცვა 3, προσευχή (-  
εσθαι)ლოცვა 24, ვედრება 2 (δέησις), თაყუანის-ცემა (= προσκύνησις) 1 (δέησις);

καλεῖν მოწოდება 3, ἐπικαλεῖν ხდა 27, ხადილი 1, თქუმა 1 (კონტექსტი)

κινᾶρα კურთხევა 8, გალობა 2, ღუბლეტი 914;

κράζειν, κραυγή ღალღალყოფა / ღალღალბა 32, კმა-ყოფა 9, ხადილი / ხდა /  
ხმობა 4, ლოცვა (17<sub>7</sub> cf. ἐπικαλεῖν);

φαινεῖν, φανή ყოველთვის კმა-ყოფა, კმა;

ψάλλειν გალობა 37, ქება 2 (ἄδεις, ἀγαλλισθῆαι), მადლობა 1 (ἄδεις), ψალმძღ  
ფსალმუნის ψαλτήριον საფსალმუნე 5, ფსალმუნი 2, სავალობელი 2, საქებელი  
1;

ᾠδή (იხმარება ძირითადად ზედაწერილებში) გალობა 32, კურთხევა 6.

ღვთისაღმი ადამიანის მიმართვა სხვადასხვა ხასიათისაა და ეკვივალენტების შერჩევაც დიფერენცირებულად ხდება:

**ღვთისაღმი თხოვნა** – ლოცვა დღესიცი-ის და პროსეუჩი-ს ეკვივალენტია. როდესაც ორივე ბერძნული სიტყვა ერთსა და იმავე მუხლში გვხვდება (6<sub>10</sub> 16<sub>1</sub> 38<sub>13</sub> 54<sub>2</sub> 60<sub>2</sub> 85<sub>6</sub> 87<sub>3</sub> 101<sub>18</sub> 142<sub>1</sub> = 9-ჯერ), სამჯერ პროსეუჩი-ს ეკვივალენტი იცვლება (6<sub>10</sub> 38<sub>13</sub> 85<sub>6</sub>), ხუთჯერ დღესიცი-ის; „სათადარიგო“ შესატყვისი ორივე ბერძნული სიტყვისთვის ვედრება. მათი გვერდიგვერდ ხმარების ორ შემთხვევაში (60<sub>2</sub> 63<sub>2</sub>) ორივე სიტყვა ლოცვით არის გადმოტანილი. მთარგმნელი, ეტყობა ზმნისწინიანი (პროსეუჩი) და უზმნისწინო (εὐχή) ფორმების გარჩევასაც ცდილობს და თუ პირველს უმეტესად ლოცვით თარგმნის, მეორეს აღთქუმა / აღნათქუემიც შეესაბამება.

**ხმამაღალი მიმართვა** რამდენიმე ლექსიკური ერთეულით გამოიხატება:

კმა-ყოფა (φαινεῖν – ეტიმოლოგიური თარგმანი);

ხდა, ხმობა, ხადილი (ἐπικαλεῖν);

ღალღალბა (ἀλαλάζειν, ἀλαλαγμός – ჰომოფონური თარგმანი(?), κράζειν, κραυγή),  
მოწოდება (καλεῖν).

**ღვთის დიდებით, ქებით მიმართვა** რამდენიმე სიტყვით გამოიხატება:

გალობა, რომელიც რამოდენიმე ბერძნულ სიტყვას შეესაბამება: ψάλλειν (37),  
ᾠδή (32), αἶψῆς (13), ἀγαλλισθῆαι /-სიცი (14) (ჰომოფონია. უკანასკნელ

შესატყვისობას უფრო კონტექსტი განაპირობებს, ვიდრე ბერძნული სიტყვის მნიშვნელობა).

*ქება* შემდეგი ბერძნული სიტყვების ეკვივალენტია:  $\alpha\iota\varsigma\epsilon\iota\nu$  (44),  $\zeta\delta\epsilon\iota\nu$  (14). *გალობა* და *ქება* ერთმანეთს ერთსადაიმევე ფრაზაშიც ენაცვლებიან:  $\zeta\sigma\alpha\tau\epsilon\ \tau\omega\ \kappa\upsilon\rho\iota\alpha$  (/ $\alpha\upsilon\tau\omega$ )  $\zeta\sigma\mu\alpha\ \kappa\alpha\iota\ \nu\acute{\iota}\nu$  323-ში თარგმნილია როგორც *აქედით უფალსა ქებითა ახლითა*, ხოლო 951 971 1491-ში, სხვა შესატყვისით: *უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა*. უნდა აღინიშნოს, რომ 323-ში *გალობა* ორჯერ  $\psi\acute{\alpha}\lambda\mu\alpha\tau\epsilon$ -ს ეკვივალენტადაა გამოყენებული, 1491-ში კი  $\alpha\iota\varsigma\epsilon\iota\varsigma$ -ის ეკვივალენტია *ქება*.

*ალსარება/ალიარება*, რომელიც მყარი ეკვივალენტია  $\xi\gamma\omicron\mu\iota\sigma\iota\gamma\epsilon\iota\varsigma$ ,  $\xi\gamma\omicron\mu\iota\sigma\iota\gamma\acute{\iota}\alpha$ -სი.

*კურთხევა* გამოხატავს ადამიანის მიერ ღვთისადმი აღვლენილ ხოტბასაც. ასეთ შემთხვევაში იგი  $\epsilon\varsigma\lambda\omicron\gamma\acute{\iota}\alpha$ -ს შეესაბამება. ამავე შესატყვისობაში *კურთხევა* ღვთის სიტყვასაც ნიშნავს ადამიანის მიმართ<sup>20</sup>.

**ღვთის ატრიბუტების** ამსახველი ლექსიკაც უხვადაა წამოღებნილი *ფსალმუნებში*. მთარგმნელი ცდილობს დედანში სშირად ნახმარ სიტყვებთან (σωτήρ, βιοτήδς, καταφυγή) შეინარჩუნოს ეკვივალენტები და, აქედან ამოსვლით გაანაწილოს ისინი<sup>21</sup>. ამასთან, იგი სრულიად სხვადასხვაგვარად არჩევს ეკვივალენტებს: ერთ შემთხვევაში ( $\kappa\rho\alpha\tau\acute{\alpha}\nu\alpha\mu\alpha$ ,  $\nu\acute{\alpha}\rho\epsilon\alpha\sigma\pi\iota\sigma\tau\acute{\eta}\varsigma$ ) ძირის მნიშვნელობიდან ამოდის და ეტიმოლოგიურ თარგმანს აკეთებს, სხვაში (σωτήρ, βιοτήδς, λυτρωτής) – ერთი ძირიდან ნაწარმოები ეკვივალენტების შენარჩუნებას ცდილობს:

σωτήρ – ყოველთვის – *მაცხოვარი*;

βιοτήδς – ყოველთვის – *(შე)მწე*;

καταφυγή<sup>22</sup> – *შესავედრებელ (13), განმაძლიერებელ (2)*;

ἀντιλήψια<sup>23</sup> – *(შე)მწე (5), შესავედრებელი (2), შემწენარებელი (2), კვლის ამპყრობელი (4), მფარველი (2)*;

ὑπερασπιστής<sup>24</sup> – *მფარველი (10), შესავედრებელი (4), ნუგეშინის-მცემელი (1), მწე (1), შემწენარებელი (2)*;

<sup>20</sup> *კურთხევა* მეორე მნიშვნელობით მუსიკალური ინსტრუმენტსაც ( $\kappa\iota\sigma\acute{\alpha}\rho\alpha$ ) აღნიშნავს, რომელსაც გიორგი მთაწმიდელთან *ბობლანი* ენაცვლება ხოლმე.

<sup>21</sup> იხ. მაგ. მუხლები, სადაც ღვთის ყველა ეს ატრიბუტი ერთად დგას: 173  $\kappa\acute{\upsilon}\rho\iota\omicron\varsigma\ \sigma\tau\epsilon\rho\acute{\epsilon}\omega\mu\acute{\alpha}\delta\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \kappa\alpha\tau\alpha\phi\upsilon\gamma\acute{\eta}\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \rho\acute{\upsilon}\sigma\tau\eta\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma$ ,  $\acute{o}\ \theta\epsilon\acute{o}\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \beta\iota\omicron\theta\acute{\eta}\delta\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \acute{\epsilon}\lambda\pi\omega\delta\ \acute{\epsilon}\pi\prime\ \alpha\upsilon\tau\acute{\omicron}\nu\ \nu\acute{\alpha}\rho\epsilon\alpha\sigma\pi\iota\sigma\tau\acute{\eta}\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \kappa\acute{\epsilon}\rho\alpha\varsigma\ \sigma\omega\tau\eta\rho\acute{\iota}\alpha\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \acute{\alpha}\nu\tau\iota\lambda\eta\mu\pi\alpha\tau\omega\rho\ \mu\omicron\upsilon\varsigma$ ] უფალო, დამამტკიცებელ ჩემო, შესავედრებელ ჩემო, შემწველ ჩემო და მკსნელო ჩემო; ღმერთი ჩემი მწე ჩემდა არს და მე ვესავ მას; მფარველი ჩემი, რქად ცხოვრებისა ჩემისა და კვლის-ამპყრობელი ჩემი. 1432  $\xi\lambda\epsilon\acute{o}\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \kappa\alpha\tau\alpha\phi\upsilon\gamma\acute{\eta}\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \acute{\alpha}\nu\tau\iota\lambda\eta\mu\pi\alpha\tau\omega\rho\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \rho\acute{\upsilon}\sigma\tau\eta\varsigma\ \mu\omicron\upsilon\varsigma\ \nu\acute{\alpha}\rho\epsilon\alpha\sigma\pi\iota\sigma\tau\acute{\eta}\varsigma$ ] *წყალობა ჩემო და შესავედრებელ ჩემო, შემწველ ჩემო და მკსნელო ჩემო; ნუგეშინის-მცემელი ჩემი*.

<sup>22</sup>  $\phi\epsilon\acute{\iota}\nu\gamma\alpha$ -დან (გაქცევა) ნაწარმოები ფორმა.

<sup>23</sup>  $\acute{\alpha}\nu\tau\iota\lambda\epsilon\mu\pi\acute{\alpha}\nu\alpha$ -დან (მონაწილეობის მიღება, დახმარება) ნაწარმოები სიტყვა.

<sup>24</sup> სიტყვა ნაწარმოებია  $\alpha\psi\tau\iota\varsigma$ -დან (ფარი) და ნიშნავს *მფარველს (მას, ვინც ზემოდან აფარებს ფარს)*.

κραιάμα<sup>25</sup> – ძალ (3), განმადლიერებელი (1);

στερέαμα<sup>26</sup> – დამამტკიცებელი, სიმტკიცე;

ῥύσθη<sup>27</sup> – ძვსნელი;

λυτραή<sup>28</sup> – ძვსნელი;

ἔλεος, ἔλεημοσύνη – წყალობა.

ზემოჩამოთვლილი სემანტიკური ჯგუფის სიტყვები, როგორც ვთქვით, *ფსალმუნთა წიგნისთვის* დამახასიათებელ ლექსიკას შეადგენს. ყველა მათგანი-სათვის ეკვივალენტის დაძებნა, სინონიმების გარჩევა და მათი დიფერენცირებული გამოხატვა, განსაკუთრებით კი, შესატყვისების განაწილება მათი კონტექსტში გვერდიგვერდ ხმარების შემთხვევაში იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ენის ლექსიკური ფონდიც, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ – მთარგმნელის ოსტატობაც უკვე მეტ-ნაკლებად შეძლება ნიუანსურად გადმოსცეს დედანი და, საბოლოო ჯამში, შექმნას მეტაენა ქართველი ქრისტიანებისათვის. თუმცა ცხადია, „უფსკრულ ღრმა“ ბერძნული ენის სრული ლექსიკური ადეკვატურობისთვის – მთარგმნელთა ამ, საზოგადოდ განუხორციელებელი მაქსიმი-სათვის – არც ამ თარგმანს მიუღწევია და ერთი ქართული სიტყვა, ჩვეულებრივ ორ, ან რამდენიმე ბერძნულ ლექსემას შეესაბამება.

### კომპოზიტები

ცნობილია, რომ ბერძნული ენა უადრესად მდიდარია კომპოზიტებით და მათი სხვადასხვაგვარი წარმოებით<sup>29</sup>. რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო ბერძნული კომპოზიტების სეგმენტირება თარგმნისას და რამდენად გააზრებული იყო ეს საჭიროება პირველმთარგმნელების მიერ, რამდენად იყო ქართული ენა მზად ამ კომპოზიტების ფორმალური ასახვისათვის და რა ხერხებს ფლობდა იგი ამისთვის? პირველი თარგმანების ანალიზმა, სხვა კითხვებს შორის, ამ კითხვებსაც უნდა უპასუხოს.

*ფსალმუნთა* თარგმანის პერიოდის ქართულში, როგორც ჩანს, ასეთი ნაირგვარობა კომპოზიციისა არ არსებობდა. ამას ადასტურებს ერთი მხრივ, ბერძნული შედგენილი სიტყვების მარტივი, სემანტიკური ეკვივალენტებით გადმოცემა *ფსალმუნთა* უძველეს ფენაში, მეორე მხრივ კი – მათი მოუხეშავობა და ის, რომ ეს კომპოზიტები არ დამკვიდრებულა ენაში, მიუხედავად მათი ხმარების პროდუქტულობისა ისეთ ხშირად კითხვად ტექსტში, როგორც

<sup>25</sup> κραιός-დან (ძალა, ძლიერება) ნაწარმოები ფორმა.

<sup>26</sup> მყარი, მტკიცე სხეული.

<sup>27</sup> ῥύσθη-დან (დაცვა, დარაჯობა) მომდინარე სეპტუაგინტაში ნახმარი ფორმა.

<sup>28</sup> λυτρα-დან მომდინარე ფორმა.

<sup>29</sup> ბერძნულის გავლენით ძველ ქართულ თარგმანში აპრობირებული სიტყვაწარმოება დაწვრილებით აქვს განხილული დ. მელიქიშვილს, იხ. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი. იხ. აგრეთვე კ. დანელია, კალკური წინდებულები ძველ ქართულში, ნარკვევები, I, 76-93

ფსალმუნია. ამასვე ადასტურებს ქართული ენის განვითარების ტენდენციაც: დროთა ვითარებაში, და, როგორცა ჩანს, ბერძნულიდან თარგმნის ინტენსიურობის კვალდაკვალ, ქართულში იზრდება სწრაფვაც კომპოზიციისაკენ.

ფსალმუნებში კომპოზიტები სხვადასხვა წესით გადმოდის: ან ფორმალურად – კომპოზიტის ორივე სეგმენტი გადმოტანილი, ან სემანტიკურად – ასეთ დროს მთარგმნელი უმეტესად კომპოზიტის მეორე ნაწილს ეყრდნობა.

თითქმის ყოველთვისაა სეგმენტირებული  $\mu\epsilon\gamma\alpha$ -,  $\mu\alpha\kappa\rho\iota$ -,  $\pi\omicron\lambda\varsigma$ -თი შედგენილი კომპოზიტები და მოძებნილია მათი ფორმალური ეკვივალენტები, მაგ.  $\Theta_{39} \mu\epsilon\gamma\alpha\lambda\alpha\theta\epsilon\iota\varsigma$  *დიდრად სიტყუა*; 7<sub>12</sub> 85<sub>15</sub> 10<sub>28</sub>  $\mu\alpha\kappa\rho\iota\theta\sigma\iota\varsigma$ ] სულგრძელ; 85<sub>5,15</sub> 102<sub>8</sub> 144<sub>8</sub>  $\pi\omicron\lambda\varsigma\epsilon\lambda\epsilon\omicron\iota\varsigma$  *დიდადმოწყალე*. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სეგმენტების ეკვივალენტები მყარი არაა და მათი შერჩევა, უმეტესად, კონტექსტიდან ამოსვლით ხდება.

სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი  $\epsilon\upsilon$ - კომპოზიტებში:  $\epsilon\upsilon\epsilon\rho\gamma\alpha\theta\iota\alpha$ -სა და სხვა, ამავე ძირებისაგან ( $\epsilon\upsilon$ - და  $\epsilon\rho\gamma$ ) შემდგარ კომპოზიტებში  $\epsilon\upsilon$ -ს ყოველთვის კეთილი შეესაბამება (მაგ. *კეთილის-ყოფა*, *კეთილის-მყოფელი*). მთარგმნელის მერყეობა და ენის ადაპტაციის შესაძლებლობები კარგად ჩანს  $\epsilon\upsilon\kappa\alpha\iota\rho\iota\alpha$ -ს გადმოცემაში: 922, 10327, 14415-ში  $\epsilon\upsilon\kappa\alpha\iota\rho\iota\alpha$ -ს (*კარგი*, *მოსახერხებელი*, *ზუსტი*, *საჭირო დრო*, *მომენტი*) ეკვივალენტად ქართულ ხელნაწერებში მარტივი ფორმა – *ჟამია* დადასტურებული. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მთარგმნელისეული ეკვივალენტი დედნის ფორმალური შესატყვისი – კომპოზიტი ყოფილიყო, როგორც ესაა 910-ში:  $\beta\iota\eta\theta\iota\delta$   $\epsilon\upsilon$   $\epsilon\upsilon\kappa\alpha\iota\rho\iota\alpha$   $\epsilon\upsilon$   $\theta\iota\lambda\iota\psi\iota$  *მწე კეთილჟამსა ოდენ ჭირისასა*. *კეთილჟამი*, ბერძნულის მიხედვით შედგენილი ნეოლოგიზმია და ისევე, როგორც  $\epsilon\upsilon\kappa\alpha\iota\rho\iota\alpha$ , მთარგმნელისათვის „საჭირო მომენტს“ უნდა ნიშნავდეს. ამ ადგილას კომპოზიტის შენარჩუნება ხელნაწერებში იმით უნდა აიხსნას, რომ *კეთილი* გადამწერთა მიერ *მწე*-ს ატრიბუტად იქნა გაგებული<sup>30</sup>.

$\epsilon\upsilon$ -ით ნაწარმოები ბერძნული კომპოზიტების გადმოტანისას მარტივი შესატყვისია ნახმარი  $\epsilon\upsilon\pi\alpha\rho\epsilon\iota\alpha$ -ს შემთხვევაშიც: 258 492 921-ში მას *შუენიერება* შეესაბამება, იმის მიუხედავად, რომ ქართულ ენაში შემდგომში დამკვიდრდა ბერძნულის მიხედვით ნახმარი კომპოზიტი *კეთილ-შუენიერება* და *ფსალმუნის* ტექსტშიც ვხვდებით ამავე ტიპის კომპოზიტს: *დიდად-შუენიერება*, რომელიც  $\mu\epsilon\gamma\alpha\lambda\omicron\pi\alpha\rho\epsilon\iota\alpha$ -ს შეესაბამება მაგ. 182 206 284-ში.

იმის მაგალითად, თუ როგორ ეძებს მთარგმნელი ბერძნულის შესაბამის ფორმალურ ეკვივალენტს  $\nu\omicron\mu\theta\epsilon\tau\eta\varsigma$ ,  $-\epsilon\iota\upsilon$ -ის თარგმანი შეიძლება დავასახელოთ: 921-ში ამ კომპოზიტს შეესაბამება ფორმალურად და სემანტიკურად ზუსტი ეკვივალენტი *სჯულ-მდებელ* ( $\nu\omicron\mu\theta\varsigma$  - *სჯული*,  $\tau\iota\theta\epsilon\iota\alpha\iota$  - *დება*). მაგრამ  $\nu\omicron\mu\theta\epsilon\tau\epsilon\iota\upsilon$ -ში მეორე სეგმენტი, ჩვეულებრივ, *ყოფა*-თი ( $=\pi\omicron\iota\epsilon\iota\upsilon$ ) გადმოიცემა ხოლმე: *შჯულიერ-ყოფა* (248, 12 2611 11833, 102).

## დერივანტები

<sup>30</sup> როგორცა ჩანს, ასე ესმის ეს სიტყვა ფსალმუნის გამომცემელს, მზ. შანიძესაც.

ენისა და მთარგმნელის დასახასიათებლად საინტერესო მასალას იძლევა დაკვირვება ნაწარმოები ლექსიკის გადმოცემაზეც: ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მათი პირველადი მნიშვნელობიდან ამოსვლით ითარგმნებიან. ამგვარი, ეტიმოლოგიური თარგმანის მაგალითია ἔνωτις<sup>31</sup>-ის ისეთი ეკვივალენტები, როგორცაა, მაგ. *ყურად ილე* (161 3813 542 839 856), *ყური მოყავ* (534 1421). მაგრამ, ამავე ἔνωτις-ის სემანტიკური თარგმანიც არაა იშვიათი: 52 1397 *ისმინე*; 13417 *ესმის*; 482 *მერჩლით*.

კონკრეტული ეკვივალენტის შერჩევის სხვადასხვა არგუმენტი შეიძლება არსებობდეს: მაგ., πλατῦνα-ს გადმოტანისას მთარგმნელი ხან კონტექსტს ან პარალელურ ადგილს (3421, 8011) ეყრდნობა, ხან ძირის (πλατῦς) ამოსავალ მნიშვნელობას (*ფართო, ვრცელი*):

- 4<sub>2</sub> ἐν θλίψει ἐπλάτυνάς μοι] *ჭირსა ჩემსა მიღხინე* Geo<sup>7</sup>, *განმძვრცე* Geo<sup>G 32</sup>;  
 17<sub>37</sub> ἐπλάτυνας τὰ διαβήματα] *ფართო ჰყვენ სლვანი* Geo;  
 118<sub>32</sub> ἐπλάτυνας τὴν καρδίαν μου] *განავრცე გული ჩემი* Geo;  
 34<sub>21</sub> ἐπλάτυναν ἐπὶ ἐμὲ τὸ στόμα] *აღაღეს (განავრცეს Geo<sup>G</sup>) ჩემ ზედა პირი*: ex 21<sub>14</sub> 38<sub>10</sub> 118<sub>131</sub> = 2 Kor. 6<sub>11</sub>;  
 80<sub>11</sub> πλατῦνον τὸ στόμα σου] *აღაღეს (განავრცე Geo<sup>G</sup>) პირი შენი*: ex 21<sub>14</sub> 38<sub>10</sub> 118<sub>131</sub> = 2 Kor. 6<sub>11</sub>

ერთი ძირიდან ნაწარმოები ბერძნული სიტყვების გადმოსატანად მთარგმნელი ასევე ერთი ძირის დერივაციულ მოდელებს ქმნის:

- βωθηθεῖν – (*შე*)*წვენა* (ერთი, პარალელური ადგილიდან მომდინარე გამონაკლისით Geo<sup>CG</sup>: 10612 *მკსნელ* (ῥύσμιος): cf. 7<sub>3</sub> 49<sub>22</sub> 70<sub>11</sub>), βωθηθεῖα – (*შე*)*წვენაი* (ერთი გამონაკლისით 2120: *წყალობასა* (τοῦ οὐκτιρμου): ex 39<sub>12</sub>, βωθηθῶ – (*შე*)*მწე*; ἐλεεῖν, ἐλεος, ἐλεημοσύνη – *წყალობა, მოწყალე, მოწყალება*;  
καταφύγειν (მხოლოდ 1429-ში) – *შესავედრებელ გიყავ*, καταφυγή – *შესავედრებელი* (ორი გამონაკლისით: 703 და 9322 (ex 1719)-ში – *განმძლიერებელი*, რაც სხვაგან κραταιάμα-ს თარგმანია).  
λυτρωσίν, λυτρωσις, λυτρωτής – (*გამო*)*ხსნა, მხსნელი* (ერთი<sup>33</sup> გამონაკლისით: 6819 *განარიხე*, რადგანაც კონტექსტში გვხვდება ῥῆσιν).  
ῥῆσθαι – *კსნა* და, ზოგიერთ შემთხვევაში, *განარიხება*: 6815 1237 1437 14311,  
ῥῆσθεις – *მკსნელი*

<sup>31</sup> იხ-დან (*ყური*) ნაწარმოები სიტყვა.  
<sup>32</sup> IX ს-ის ხელნაწერების ფსალმუნთა ციტატებში πλατῦναι-ს შეესაბამება: *ფართო მოყავ* (*შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები*, II). დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილ თეოდორიტე კვირელის ფსალმუნთა განმარტებაში πλατῦναι-ის შესატყვისად, ასევე, სხვადასხვა ეკვივალენტი აქვს გამოყენებული (*შატბერდის კრებული*): *მიღხინე* (377.30); *ვრცელ-მოყავ* (377.38); *ლხინებად და ვრცელ-ყოფად ჩემდა* (405.30).  
<sup>33</sup> მზ. შანიძის გამოცემაში 3323-ის შესატყვისად ნახმარი *იკვნეს*-ის ნაცვლად უნდა იყოს *იკსნეს*-ს, როგორცაა გიორგი მთაწმიდელის თარგმანშიც.

σατήρ - *მაცხოვარი*, σατηρία - *ცხორება*, *მაცხოვარება* (ორი გამონაკლისით 3217 *განრიებად*, 343 *მკსნელი*), σατήριον - *ცხორება*, *მაცხოვარება* (ერთი გამონაკლისით: 118166 *სასობა* (= ἑλπίς)). რაც შეეხება ზმნურ ფორმას σάξεν, იგი სხვადასხვა ეკვივალენტით გადმოიცემა: *ცხორება-თი*, უმეტესად მაშინ, როდესაც მარადიული ცხორების მოპოვებაზეა საუბარი და, აგრეთვე, *კსნა* და *განრიება-თი*.

*ფსალმუნთა* და საერთოდ, ბიბლიის ძვ. ქართულ თარგმანებში, სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფების (მაგ. ცოდვის, სათნოების, სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის, ღვთისმსაუერების და მისი ატრიბუტების...), სხვადასხვა ტიპით ნაწარმოები ლექსიკის სხვადასხვა კუთხით (ეტიმოლოგიური, თარგმანის ტექნიკის), სინქრონული (წმ. წერილის ერთი წიგნის ფარგლებში) და დიაქრონიული (წმ. წერილის სხვადასხვა წიგნში, რაც თავად ბიბლიის, როგორც კრებული თარგმნის თანამიმდევრობისთვისაც შეიძლება იყოს საინტერესო) შესწავლა, ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიულია როგორც თავად ნათარგმნი თხზულებების საკვლევად, ისე ქართული ლექსიკოგრაფიისათვის. ჩემი მიზანი იყო სტატიის ფარგლებში ბიძგი მიმეცა ამგვარი კვლევებისათვის.

## **ლიტერატურა**

### **გამოცემები**

შანიძე მზ., *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები*, თბილისი, 1960.

Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed. A. Rahlfs.

*შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები*, II. *ანბანურ-ანონიმური პატერიკი*, გამ. მანანა დვალი, თბილისი, 1974.

*შატბერდის კრებული*, გამ. ბ. გვიგინიშვილი და ელ. გიუნაშვილი, თბილისი, 1979

### **ლექსიკონები**

A Concordance to the Septuagint, by E. Hatch and H.A. Redpath, Oxford. (=Hatch & Redpath).

Greek-English Lexicon, Compiled by H.G. Liddel and R. Skott, Oxford (=Liddel & Skott).

A Geek-English Lexicon of the Septuagint, Compiled by J. Lust, E. Eynikel, K. Hauspie, 1992 (=Lust)

### **მეორადი ლიტერატურა**

Charanauli A., *Einführung in die georgische Psalterübersetzung*, Der Septuaginta-Psalter und seine Tochterübersetzungen, Herausgegeben

von Anneli Aejmelaeus und Udo Quast, MSU XXIV, Vandenhoeck&Ruprecht in Göttingen, 2000, 248-308

Dorival J., Harl M., Munnich O., La Bible Greque des Septante, Serf, 1988 (=La Bible Greque).

დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თსუ გამომცემლობა, 1998 (=ნარკვევები, I).

Dobordžginidze N., Das Problem der Bibeluebersetzung und seine Bedeutung fuer die Entwicklung der georgischen Sprache im christlichen Mittelalter, in: Boeder W., Kaukasische Sprachprobleme, Oldenburg, 2003.

მელიქიშვილი დ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, განათლება, 1975.

შანიძე მზ., ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1979.

ცქიტიშვილი თ., ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბილისი, 1976.

ანა ხარანაული

### **falsmunTa qarTuli Targmanis leqsika**

სტატიაში *ფსალმუნთა* ქართული თარგმანის ლექსიკის (დერივანტების, კომპოზიციების, *ფსალმუნთა წიგნისთვის* დამახასიათებელი გარკვეული სემანტიკური ჯგუფის სიტყვების) გადმოტანის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ქართული ენის ლექსიკური ფონდიც, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ – მთარგმნელის ოსტატობაც უკვე მეტ-ნაკლებად შემძლეა ქრისტიანული ცნებითი სისტემის გამოხატვისა როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური (სიტყვაწარმოების) თვალსაზრისით.

Ana Kharanauli

### **The Lexic of Georgian Translation of Psalms**

On the example of the lexic (of derivation, composites, the semantic groups of words which are characteristic for the Book of Psalms) of Georgian Psalms is shown that, on the one hand, the lexical fond of Georgian language and, on the other hand, the technique of the translator can already more or less detailed reproduce the Vorlage and as a result – create a meta-language for Georgian Christians.